პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 დეკემბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 233 (9644) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მუდმივმოქმედი საორგანიზაციო კომიტეტი

სპორტული მოძრაობის სრულყოფის ბუნებრივი პროცესი მჭიდრო კავშირშია გარდაქმნასთან, ცვლილებები ყოველთვის უპასუხებდა და უპასუხებს დროის მოთხოვნებს. დღევანდელი სპორტული მოძრაობის ხიახლეებიც ჩვენს ქვეყანაში დროის მოთხოვნებითაა ნაკარნახევი. ახლა სპორტსმენთა მზადებისა და დაოსტატების ოთხწლიანი ციკლია შემოღებული. ამ ციკლის საწყისი საფეხური იყო სპორტული სკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშები, რომელიც წლეულს ჩატარდა. როგორც ცნობილია, ამ ახპარეზობას ჩვენმა რესპუბლიკამ უმასპინძლა. გაისად ჭაბუკთა საკავშირო თამაშები ჩატარდება. 1989 წელი კი ახალგაზრდული თამაშების წელია, შემდეგ მოდის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. როგორც ხედავთ, ახალობრივი თანმიმდევრობა შენარჩუნებულია. თვით ამ ფაქტში კარგად ჩანს სპორტის გაახალგაზრდავების ტენდენციისადმი დამოკიდებულება. თითოეულ სპორტსმენს საშუალება ეძლევა სკოლის მერხიდანვე მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩათვლით.

დიდია პასუხისმგებლობა ამ შეჯიბრებებისთვის რესპუბლიკის სპორტსმენთა მოსამზადებლად. კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ამა თუ იმ მნიშვნელოვანი სპორტული ახპარეზობისათვის მზადებასთან დაკავშირებით იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი. და აი, ხიახლე — ახლა შეიქმნა მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც ზემოხსენებული ოთხტაპიანი ციკლის ყველა ღონისძიებისთვის რესპუბლიკის სპორტსმენთა მზადებას ჩაუდგა სათავეში. გუშინ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე. სხდომაზე განიხილეს ნაკრები გუნდების სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფის, სპორტული ბაზების კეთილმოწყობის საკითხები. მოიხმინეს ინფორმაცია სპორტის ზამთრის სახეობებში და თამაშებისათვის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკის სპორტსმენთა მომზადების შესახებ.

როგორც სხდომაზე ითქვა, ჭაბუკთა და ახალგაზრდული თამაშებისათვის მზადებას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ყველა, ვინაიდან ამ ღონისძიებების შედეგები შედის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში.

მაშ ახლ, მზადება დაიწყო. იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ, როგორ შეავასრულებთ თითოეული ნაკრები გუნდისადმი წაყენებულ მოთხოვნებს დიდად იქნება დამოკიდებული საბოლოო შედეგი — ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა.





სსრ სახ. რეფერ. ბიბლიოთეკა

გ. კასპაროვ—ა. კარპოვის მატჩი შაჰმატში მსოფლიო ჩემპიონის სახელწოდებისთვის.

ფოტორეპორტაჟი სევილიიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

სევილიაში დასასრულს უახლოვდება კასპაროვ-კარპოვის მატჩი. დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შემოგთავაზოთ რამდენიმე ილუსტრაცია, რომელიც ამ მეტად დაძაბული ორთაბრძოლის პერიპეტიებს ასახავს. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ მატჩისადმი მიძღვნილი ბიულეტენების ერთ-ერთი ბოლო ნომრის ტიტულს; კასპაროვ—კარპოვის მე-17 პარტიის დებიუტი — მორიგ სვლაზე ფიქრობს კარპოვი; ლოპე დე ვეგას თეატრის ფოიეში მაყურებელთათვის პარტიას არჩევს ქართველი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე; პარტია ეს-ესაა გადაიდო და კარპოვი სასტუმროში მიიჩქარის; პარტია განახლდა.

სხვა მასალები მატჩის შესახებ იხილეთ მე-4 გვ.

„ოლიმპიური ნაკრების კანდიდატობა ჩემთვის დიდი სტიმულია“

თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ვლადიმერ გოგოლაძემ იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. იგი წარმატებებისათვის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად დაასახელეს. მისთვის ერთ-ერთი სერიოზული გამოცდა ზაგრებში სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა უნდა ყოფილიყო. აქ იგი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში პირველ ნომრად ჩავიდა, მაგრამ ვარჯიშზე დაშავდა, რის გამოც გოგოლაძე მას შემდეგ სარბიელზე აღარ გამოჩენილა.

გულშემატკივრები გვეკითხებიან, რას აკეთებს ახლა ვლადიმერ გოგოლაძე, კვლავ რჩება თუ არა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად, რას ფიქრობს და რაზე ოცნებობს სპორტსმენი?

ჩვენ შევხვდით ცნობილ ტანმოვარჯიშეს და ვთხოვეთ პასუხი გაეცა ამ კითხვებზე.

— მაშინ ზაგრებში მკლავი ვიღრძე. ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ხელი თაბაშირში ჩამისვეს. — გვითხრა ვლადიმერმა. — მკურნალობის შემდეგ ვარჯიში განვაახლე. სექტემბერში ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებთან ერთად სავარჯიშოდ მიხმეს. გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. სამწუხაროდ, ვარჯიშებზე ტრავმა კვლავ მაწუხებდა და გუნდის შემადგენლობაში ვერ მოვხვდი. ექიმებმა მირჩიეს, რომ სრული გამოჯანმრთელებისთვის დაველოდა და ხელი ძალიან არ დამეტვირთა. ყოველივე ამის შესახებ „ლელოც“ წერდა. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და მონდომებითაც ვვარჯიშობ. მით უმეტეს, რომ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად კვლავ ვრჩები, ეს კი ჩემთვის დიდი სტიმულია.

● **საბრძოლო ფორმა აღიდგინეთ?**

— საშეჯიბრებო სპორტულ ფორმას ჯერჯერობით ვერ მივაღწიე, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიში უკვე შემიძლია და ვვარჯიშობ კიდეც.

● **ტრავმის შემდეგ თქვენთვის რომელი შეჯიბრება იქნება პირველი?**

— ამაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით მიჭირს. 12 დეკემბრიდან ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატებთან ერთად მოსკოვში შეკრებაზე ვარ მიწვეული. იქ თოთხმეტ-თხუთმეტი კაცი მოვგროგდებით. ეს შეკრება ჩემი მზადებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება.

● **ნაკრებში საბოლოოდ დასამკვიდრებლად ბრძოლაში ვის თვლით თქვენს უახლოეს კონკურენტებად?**

— ყველას, ვინც წლეულს სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა. რა თქმა უნდა, კონკურენტები სხვებიც არიან, მაგრამ ჯერა, მათ შედარებით იოლად გავუმკლავდები. ვფიქრობ, ნაკრებში ერთმანეთს ყველაზე დიდ კონკურენციას გავუწევთ კოროლიოვი, მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ბელოზერჩევი, ამავე შეჯიბრების მესამე პრიზიორი ვლადიმერ არტიომოვი, ალმა-ათელი ლიუკინი და მე.

როგორც ხედავთ, ვლადიმერ გოგოლაძე ოპტიმისტურადაა განწყობილი, ეს კი მეორეხარისხოვანი საქმე სრულიადაც არ არის. ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველ სპორტსმენს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ვიხილავთ.

ავთანდილ ბუციშელი.

ვინ გვიპასუხებს?

„ლელო“ — „ბიჭები ბულდოზერს გადაუდგნენ“ (26. XI. 1987 წ).

„სოვეტსკი სპორტი“ — „ბულდოზერით ცოცხალ კედელზე“ (4. XII. 1987 წ.).

„კოლეგების მხარდასაჭერად“ — ამ რუბრიკით გუშინ „სოვეტსკი სპორტში“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა წერილი, რომლის სათაურია „ბულდოზერით — ცოცხალ კედელზე“. „სოვეტსკი სპორტი“ მხარს უჭერს 26 ნოემბერს „ლელოში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილს („ბიჭები ბულდოზერს გადაუდგნენ“), რომელშიც ნათქვამია, რომ ვამლიჯვარის დასახლებაში მოსახლეობის მიერ საკუთარი ძალებით მოწყობილი სპორტული კომპლექსი გზის გაყვანის მომიზეზებით ბულდოზერით დაანგრიეს. ყველას აზრით, მათ შორის თვით პროექტის ავტორის განცხადებით, გზის გასაყვანად პროექტის სხვა ვარიანტი შეიძლებოდა შემუშავებულიყო, მაგრამ... „თუ ზემოდან იქნება მითითება, მე შემიძლია შევცვალო პროექტი“, — ამბობს პროექტის ავტორი დ. ხეჩუაშვილი.

„ზემოდან მითითების ლოდინი საჭირო არ არის. ხომ არსებობს საღი გონება. და კიდევ, ყველას აქვს თავის საქმე“ — დაასკვნის „სოვეტსკი სპორტი“.

P.S. რედაქცია კიდევ ერთხელ შეახსენებს შესაბამის ორგანიზაციებს, რომ 26 ნოემბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე პასუხს დაუყოვნებლივ ველოდებით.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის და განუწყვეტლივ გვირეკავენ იმის შესახებ თუ როგორ და რა წესით ვრცელდება საფეხბურთო ბილეთები ბრემენის „ვერდერთან“ თბილისის დინამოელთა მოახლოებულიმატჩისათვის.

გუშინ ჩვენ დაუკავშირდით თბილისის „დინამოს“ სტადიონის ხელმძღვანელობას. გვაცნობეს, რომ მომავალი მატჩისათვის ბილეთები სტადიონის სალაროებში აღარ გაიყიდება. ბილეთები მთლიანად გავრცელდა დედაქალაქის შრომით კოლექტივებში, ორგანიზაციებში და სახლებლებში. სტადიონის სალაროებში ბილეთების შეძენა აბონემენტებზე შეიძლება. ამასთან გვაცნობეს, რომ „დინამოსა“ და „ვერდერის“ მატჩი დაიწყება არა 19 საათზე, როგორც ეს ადრე იყო გამოცხადებული, არამედ 20 საათზე.

ᲖᲣᲨᲘᲜ...

სევილია, 4 დეკემბერი (საკადესი). გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის მეოცე პარტია გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის. თეთრი ფიგურებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა.

პირველ ცამეტ სვლაზე კარპოვმა ორჯერ შეტი დრო დახარჯა, ვიდრე კასპაროვმა.

ნიუ-იორკი. „გრან-პრის“ სერიის უმაღლესი კატეგორიის ოგბურთელთა ტურნირში შტეფი გრაფმა (გფრ) დაამარცხა არგენტინელი გაბრიელა საბატინი 4:6, 6:0, 6:4.

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ. მექსიკის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ფინალში ესპანელმა ე. სანჩესმა აჯობა ამერიკელ ჯ. მაკინროუს — 4:6,6:3, 6:3.

ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ. ჩატარდა ველოსიპედისტთა ტრადიციული შეჯიბრება წყვილთა რბოლაში — „ციურიხის ექვსი დღე“, რომელიც უ. ფრეილერმა (შვეიცარია) და დ. ტურაუმ (გფრ) მოიგეს.

ᲚᲘᲜᲩᲝᲞᲘᲜᲒᲘ. შვეიცის მაგიდის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის

მეორე ტურში სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი ჩინეთის ნაკრები.

ᲙᲔᲜᲘᲒᲑᲖᲔ (გფრ). „სამი ტრასის ტურნეს“ მეორე ეტაპი გდრ-ის მოციგაოვებმა მოიგეს. ვაჟთა შორის პირველობა მიჰაელ ვალტერმა დაისაკუთრა, ქალებში — შტეფი ვალტერ-მარტინმა. წყვილთა ასპარეზობაში უძლიერესნი იყვნენ: თომას შვაბი და ვოლფგანგ შტაუდინგერი (გფრ).

ᲡᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲖᲔ — ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ!

ᲓᲐᲣᲙᲐᲠᲘᲗ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲚᲘ არ არის, რომ აჭარაში ჭიდაობის თითქმის ყველა სახეობაში ჩამორჩენა იგრძნობა. იყო დრო, როცა აქ აღზრდილი ფალავნები საერთაშორისო სარბიელზეც დიდი წარმატებით იცავდნენ რესპუბლიკის და ქვეყნის სპორტულ ღირსებას — რ. აბაშიძე, დ. გვანცელაძე, გ. გოგიჩაიშვილი, კ. მახარაძე, ნ. ძიმისტარიშვილი, ზ. ჩხაიძე, ზ. ვვკუა, ნ. ჭანუყვაძე, დ. გაგუა, ი. ტუღუში, რ. დობორჯგინიძე, გ. კუნჭულია, ზ. ჯორბენაძე, ზ. მორჩილაძე... ცხადია, ეს არ არის მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის, რესპუბლიკის ჩემპიონებისა და პრიზიორების სრული სია, რომლებითაც კანონიერად ამაყობდა არა მარტო საქართველო, არამედ საერთოდ ჩვენი ქვეყანა. მართალია აჭარაში დღესაც არიან კარგი მოჭიდავეები — ჯ. ბაკურიძე, თ. თედორაძე, ლ. მეხეშიძე, გ. არძენაძე, ე. ნაგიევი, ჯ. ტარიელაძე, მაგრამ წარსულისაგან განსხვავებით, სამწუხაროდ, ეს ჩვენი მოწინავე ფალავნების სრული სია გახლავთ.

რა უნდა იყოს ამის მიზეზი. საქმე ის არის, რომ სპორტის ეს სახეობა აჭარაში პოპულარობით აღარ სარგებლობს. დიახ, სინამდვილეში ასეთი მდგომარეობაა, მაგრამ სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა დოკუმენტებში მრავლად შეხვდებით ჭიდაობაში მომეცადინეთა და მწვრთნელთა გვარებს. მაგალითად: კლასიკური ჭიდაობის ორმოცამდე ჯგუფში 1691 მოზარდი მეცადინეობს. მათ დაოსტატებას 10 მწვრთნელი ემსახურება. ამდენივე აღმზრდელი ჰყავს თავისუფალი სტილის 2088 მოჭიდავეს, სამბისტთა სამ ჯგუფში 84 მომეცადინეს ერთადერთი მწვრთნელი ავარჯიშებს, 337 ძიუდოისტს — 11, ქართული ჭიდაობის 94 მოყვარულს კი... 3 (!) მწვრთნელი. ერთი და იგივე აღმზრდელი რამდენჯერმეა დოკუმენტებში მოხსენიებული, რაც საბოლოო ჯამში მწვრთნელთა რაოდენობას ზრდის. **ფაქტიურად კი ჯგუფს, რომელშიც ნაცვლად 13-15-ისა, ორმოცამდე ან მეტი მოსწავლეა გაერთიანებული, ერთი მწვრთნელი ამეცადინებს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში წვრთნის ხარისხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი.**

ჭიდისა და შუახევის რაიონებში (სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები ა. დიასამიძე, ნ. დავითაძე). საერთოდ **ჩამკვდარია ეს სახეობა,** ამიტომ გასაკვირი არაა დღეს აჭარის ნაკრებ გუნდებში ამ რაიონების წარმომადგენლებს რომ ვერ ვხედავთ. უნდა ითქვას, რომ მათ სპორტის სხვა სახეობაშიაც არა აქვთ სახარბიელოდ საქმე. ამას წინათ აჭარის სპორტსახკომის კოლეგიამ იმსჯელა ავტონომიურ რესპუბლიკაში ჭიდაობის სახეობების მდგომარეობაზე. კოლეგიის ოქმში ნათქვამია: „აჭარის მოწინავე მოჭიდავეების საწვრთნელი დატვირთვა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ინდივიდუალური გეგმების შესრულებაზე საჭირო კონტროლი არ არის დაწესებული. ცალკეული სპეციალისტები არ ზრუნავენ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებაზე, არ ნერგავენ თანამედროვე საწვრთნელ მეთოდებს, ვერ გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე...“ ვფიქრობ, მარტო ეს ერთი აბზაციც ნათლად მეტყველებს მწვრთნელთა უგერგილობაზე, უპასუხისმგებლობაზე და უუნარობაზე, მაგრამ ერთ ფაქტსაც მოვიშველიებ: საქართველოს IX საზაფხულო სპარტაკიადაზე აჭარის თავისუფალი სტილის მოჭიდავეები მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ, სამბისტები — მეათეზე, ქართული ჭიდაობის წარმომადგენლები — მეცამეტეზე, ძიუდოისტები კი — მეთხუთმეტეზე. მთავაც რომ ისე ეასპარეზათ, როგორც სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა იასპარეზეს, მათ შორის კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა (შესამე ადგილი), აჭარის სპორტული ელეგაცია ბევრად უკეთეს შედეგს აჩვენებდა.

ზემოხსენებული სპარტაკიადა და წლევანდელი სპორტული სეზონი უკვე წარსულს ჩაბარდა. დადგა ჟამი ფიქრისა და განსჯისა. რა გვიშლის ხელს, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აჭარაში ძველი ტრადიციები აღდგეს და რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებში, ისე როგორც 50-60-იან წლებში, კვლავ გამოჩნდნენ აჭარის წარმომადგენლები. დავსვათ ასეთი კითხვა. რატომ იყო პოპულარული ჭიდაობა 50-60-იან წლებში? იმიტომ, რომ ამ პერიოდში ბევრი საინტერესო, მაღალი რანგის ასპარეზობა, სამატჩო შეხვედრა და ტურნირი ეწყობოდა, მოასპარეზეებს ბათუმის სახელმწიფო ცირკის არენას უთმობდნენ. ჩაყურებლებით სავსე ტრიბუნები მჭუხარე ოვაციებს უმართავდნენ არსენ მეკოკიშვილს, მირიან ცალქალამანიძეს, როსტომ აბაშიძეს, გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძეს, დავით გვანცელაძეს, რომანოზ ძნელაძეს, ვლადიმერ რუბაშვილს და სხვა საქვეყნოდ აღიარებულ ფალავნებს. სწორედ მათმა გამოსვლებმა აღაფრთოვანა ბევრი ბათუმელი ყმაწვილი. ამ ფალავანთა უბადლო ოსტატობით მოხიბლულნი ჭიდაობის სექციებში ეწერებოდნენ, დაუღალავად ვარჯიშობდნენ. დღეს ასეთი მასშტაბის **შეჯიბრებები ბათუმში აღარ იმართება და თუ იმართება, ისიც უმაყურებლო დარბაზში მიმდინარეობს.**

რაც შეეხება სასწავლო-საწვრთნელ პირობებს, იგი რესპუბლიკის არც ერთ რეგიონში არ არის დამაკმაყოფილებელი. ყველგან ერთი და იგივე სურათია: დარბაზების სიმცირე, ინვენტარის უქონლობა (უკეთეს შემთხვევაში — უმარისობა), არ არის ცხელი წყალი, ცივიც კი და ა. შ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის გადაუჭრელად საქმეს ვერ გამოვასწორებთ — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული ჭაბუკი მოჭიდავე ამთავრებს თუ არა სკოლას, აჭარისათვის იგი როგორც მოჭიდავე დაკარგულია. საქმე ის არის, რომ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლებისათვის იგი ასაკგადაცილებულად ითვლება და საასპარეზოდ ვერ გამოიყვანენ, **უფრო სწორი ასაკის ჯგუფები კი ბათუმში თითქმის არ არის.**

ახლა ისევ საჭიდაო დარბაზების შესახებ. **ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნის ქვეშ მშენებარე დარბაზის დამთავრებას პირი არ უჩანს. სრულყოფილი დარბაზი არა**

აქვს არც ერთ რაიონს, სრულყოფილს ვინ დაეძებს, როცა ბევრგან ჩვეულებრივი დარბაზიც სანატრელია.

„ღმერთო, მიშველეო — შეევედრა ღმერთს წყალწყალებული. გაანძრიე ხელები და გიშველიო“ — ურჩიეს მას. დასამალი არ არის, რომ ბევრს სხვისი დახმარების იმედი აქვს, ინიციატივას არ იჩენს, მზამზარეულს მოლოდინშია. აი, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ახალგაზრდები კი სხვაგვარად მიუდგნენ საქმეს. მათი დაჟინებული თხოვნით კოლმეურნეობის გამგეობამ ერთსართულიანი შენობა გამოჰყო. ახალგაზრდები თავად გაისარჯნენ, შეაკეთეს ნაგებობა და საკმაოდ ვრცელი და საასპარეზოდ მოსახერხებელი დარბაზი მოაწყვეს. კარგი იქნება, თუ ხუცუბნელებს სხვა სოფლის ხელმძღვანელები და ახალგაზრდებიც მიბაძავენ. **1984 წელს აჭარაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის 11.800 მანეთი დაიხარჯა, 1985 წელს — 9.800, ხოლო 1986 წელს — 7.600 მანეთი.**

რით არის გამოწვეული ასეთი რეგრესი? კი მაგრამ, საჭიდაო ხალიჩები და ინვენტარი როგორ შეიძინონ, დარბაზი როგორ შეაკეთონ, კეთილმოაწყონ ენთუზიასტებმა? აქვე დავძენ, რომ საკმაო თანხა შეკრებილი დიდძალი ხალხი — კაცები და ქალები, დიდები და პატარები... ფიცხელი შერკინებისათვის გამზადებული ბუღა ბიჭები. ახმიანდება ჩვენებური საჭიდაო და განუმეორებელი სანახაობა დატრიალდება ამ ჯადოსნურ წრეში. არა, ქართულ ჭიდაობას ბადალი არ მოეძებნება, ისაა ჩვენი სპორტის, ჩვენი ძლიერების ფუძე და საძირკველი. შევიყვაროთ, გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ ქართული ჭიდაობა“.

არა მგონია ამაგდარი მეცნიერი აქ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობდა. ხუთუ აჭარაში არ არიან ბუღა ბიჭები? ან იქნებ ნახერხი არ მოიძებნება საჭიდაოსათვის? ქართული ჭიდაობა მოჭიდავეთა ანბანია, რომლის შესასწავლად ძიუდოს ფუძემდებლობმა იაპონიიდან საქართველომდე ათასობით კილომეტრი გადმოლახეს. აქ კი, აჭარაში რა გვემართება, ჩვენივე სიმდიდრეს რომ ვერ ვიყენებთ?

ახლა სპეციალისტებსაც მოვუსმინოთ.

ბ. თარგამაძე — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი: ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში დაარსდეს ჭიდაობის სექციები, **აუცილებელია ბავშვებისთვის ხშირად გავმართოთ ფალავანთა საჩვენებელი გამოსვლები,** გავაცნოთ და შევაყვაროთ მათ სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა. და კიდევ: ვფიქრობ, **დროა ბათუმში აღგოს ერთი ფართო, ტრიბუნებიანი საჭიდაო დარბაზი.**

ნ. ჭანუყვაძე — ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი: გვეკითხებიან, რატომ არ ატარებთ მოჭიდავეთა შეშეჯიბრებებს სახელმწიფო ცირკში ან ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე სპორტულ სკოლაში, სადაც ყველაზე დიდი დარბაზია? **ცირკის არენას არავინ გვითმობს,** სპორტული სკოლის დარბაზი კი ისეა გადატვირთული, რომ თავის აღსაზრდელებს ძლივს იტევს. ასე რომ, გამოსავალი სხვაგან უნდა ვეძებოთ. აქ ზემდგომი ორგანოების საქმეში ჩარევაა საჭირო.

ბ. ბოგიჩაიშვილი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი: სპორტულმა საზოგადოებებმა, და არა ბავშვთა სპორტულმა სკოლებმა, უნდა ითაონ სკოლების კურსდამთავრებულ მოჭიდავეთა დაოსტატება. მთავარია, საქმისადმი ერთგულება და სიყვარული. ვფიქრობ, ჩვენს **ავტონომიურ რესპუბლიკაში საკმარისი რეზერვია ჭიდაობის ყველა სახეობის, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის, განვითარებისათვის.**

ბ. ბოლქვაძე — ხულოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი: რაიონებში, განსაკუთრებით **მაღალმთიან ზონაში, მხოლოდ ცენტრალიზაციის გზით შეიძლება ჭიდაობის დანერგვა.** ცალკეული სოფლების სკოლებში უნდა შევარჩიოთ სათანადო მონაცემების მქონე მოზარდები და მივცეთ მათ საშუალება სწავლა განაგრძონ სკოლა-ინტერნატებში, წვრთნა ცენტრალურ სექციებში გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით უნდა წარიმართოს. სამწუხაროდ, ამ აზრს არ იზიარებენ სკოლების ხელმძღვანელები, განათლების ორგანოები.

ცხადია, ერთ საგაზეთო წერილში ძნელია იმ სიძნელეებზე ლაპარაკი, რამაც შეაფერხა ქართული ჭიდაობის განვითარება აჭარაში. ვფიქრობ, ძირითადი სათქმელი ითქვა, გავეცანით სპეციალისტთა აზრს. ისღა დაგვრჩენია კვლავ ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, სპორტის დიდი მოჭირნახულის ნიკო კეცხოველის ნათქვამი გავიხსენოთ „შეკიყვაროთ, გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ ქართული ჭიდაობა“.

„დაუკარით საჭიდაო!“ — დაე, აჭარაშიც ხშირად გვსმენოდეს ეს სიტყვები.

ლევან ᲥᲐᲕᲨᲐᲠᲐᲫᲔ,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

ბათუმი.

SOS

ᲒᲐᲨᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲕᲐᲕᲘᲬᲠᲝᲕᲔᲗ?

ᲔᲡ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲕᲔᲠᲢᲧᲕᲘᲭᲐᲚᲐᲨᲘ ᲒᲓᲔᲑᲐ

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის მოსწავლეებისაგან ოთხი თითქმის ერთნაირი შინაარსის წერილი მივიღეთ. ოთხივე წერილს ერთად ხელს 51 მოსწავლე აწერს. ისინი დახმარებას გვთხოვენ.

მაინც, რა გაუჭირდათ ვერტყვიჭალელ მოსწავლეებს?

აი, რას გვწერენ მეთერთმეტეკლასელები: „პატივცემულო რედაქცია, ბოდიშს ვიხდით, ასე რომ გაწუხებთ, მაგრამ თქვენს იქით გზა აღარა გვაქვს. ჩვენს გაჭირვებაზე ვის აღარ მივმართეთ, ვის აღარ ვთხოვეთ, მაგრამ უველგან გვეხმოდა „გავითვალისწინებთ“, ანდა სულაც უურს არავინ გვიგდებდა.

მოხარულნი ვართ, რომ ახალი, ტიპიური საშუალო სკოლა აგვიშენეს, მაგრამ იგი ზუსტად იქ აიგო, სადაც კალათბურთის და ფრენბურთის მოედანი, მძლეოსნობის სექტორი და სპორტული ბაქანი გვქონდა.

რა თქმა უნდა, ახალ სკოლაში ახალი სპორტდარბაზი არის, მაგრამ იგი ბოლომდე გაუმართავია და გამართულიც რომ იყოს, სპორტინვენტარით აღჭურვილი არ არის. თანაც, მოგეხსენებათ, ღია ცის ქვეშ ვარჯიში, თუ კი ეს შესაძლებელია, გაცილებით სახარგებლოა. ახლა ვარჯიშის არავითარი საშუალება არა გვაქვს. სხვა სოფლის სკოლებში ჩავდივართ და იქ 10-15 წუთს ვვარჯიშობთ.

როდემდე უნდა ვიაროთ სხვა სოფლებში სავარჯიშოდ? არადა, ჩვენს სკოლასთან საშუალებაა კალათბურთის მოედანი მაინც გაკეთდეს.

ამბობენ, სკოლასთან ახლოს ქარხანა შენდებაო და მის ტერიტორიაზე თუნდაც 8 მეტრი რომ დაგვითმონ, ალბათ მოედანიც გაკეთდება.

ჩვენ მეთერთმეტეკლასელები ვართ და სკოლაში სწავლისთვის დარჩენილ დროს როგორღაც გავიტანთ, მაგრამ რას ვუშვრებით მომდევნო, განსაკუთრებით უმცროსი კლასების მოსწავლეებს? პირველკლასელებს, მაგალითად, წინ ხომ მთელი ათი წელი უდევთ.

ალბათ, ტრაბახად არ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ რაიონის მასშტაბით ჩვენს სკოლას სპორტულ მიღწევებში ბადალი არა ჰყავს.

ჩვენმა სკოლამ ამ ორი წლის განმავლობაში სამი კარგი სპორტსმენი აღუზარდა რაიონსა და რესპუბლიკას. ერთ-ერთი მათგანი — მადონა წიქარიშვილი მძლეოსნობაში საქართველოს ჩემპიონია, სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებზე კი საპრიზო ადგილიც დაიკავა.

კიდევაც დაიზრდებიან კარგი სპორტსმენები თუ ხელს შეგვიწყობენ“.

ასეთივე შინაარსის წერილი მივიღეთ ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის მერვეკლასელებისაგან, რომლებმაც ყველას აჯობეს ორჯონიკიძის რაიონის სოფლების მოსწავლეთა შორის „იმედის სტარტების“ შეჯიბრებაში.

„ველით, როდის გვექნება მოედანი, სადაც ბავშვები ნორმალურად ვითამაშებთ და ვივარჯიშებთ, — გვწერენ ისინი. — მთელი ჩვენი კლასის სახელით გთხოვთ, რომ დაგვეხმაროთ, მანამდე კი ჩვენ მაინც გულმოდგინედ სადმე ვივარჯიშებთ და კვლავ გავიმარჯვებთ, „იმედის სტარტებში“.

ჩვენც იმედი გვაქვს, რომ სოფლის თაეკაცები მოსწავლეთა თხოვნას ყურად იღებენ.

რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით მასალა მოამზადა **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲯᲣᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**

ᲮᲣᲗᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ

ლენინგრადში ჩატარდა ჭაბუკ სამბისტთა საკავშირო ტურნირი მიძღვნილი სპორტის დამსახურებული ოსტატის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ი. ვასილიევის ხსოვნისადმი. საქართველომ ამ ასპარეზობაში ათი ათლეტი გამოიყვანა, მათგან ხუთმა საპრიზო ადგილი დაიკავა.

სხვებზე უკეთ იასპარეზა ბ. მარიდაშვილმა (48 კგ), რომელმაც ოთხი შეხვედრა მოიგო, მხოლოდ ფინალში დამარცხდა და საბოლოოდ II ადგილი დაიკავა.

დანარჩენმა პრიზიორებმა III ადგილები დაიკავეს. ესენია: მ. მელაძე (45 კგ), მ. კურდღელაშვილი (48 კგ), მ. თურქია (52 კგ), მ. სუკიასიანი (60 კგ). შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ჭაბუკ სამბისტთა ოსტატობას, ზოგიერთები კი განსაკუთრებით გამოყვეს. მათ შორის მოხვდა ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი — ბ. მარიდაშვილი, მ. სუკიასიანი და მ. კურდღელაშვილი.

საწვრთნელი მატჩი

უეფა-ს თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩისთვის ემზადება თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. 3 დეკემბერს ბორში თბილისელებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ „დილასთან“. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 4:0. გოლები გაიტანეს შენგელიამ, გურულმა, ქეცბაიამ და ფანცულაიამ.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, სვანაძე, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე (ფანცულაია), ქეცბაია, გურული, შენგელია.

„გადასასვლელის“ გათამაშება

იმიერკავკასიეთის ქალაქებში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ასპარეზობა „გადასასვლელი“. ეს საინტერესო შეჯიბრება 1978 წლიდან ყოველი სეზონის დასასრულს იმართება, მასში მონაწილეობას იღებენ X-XI კლასების მოსწავლეები.

წლევანდელ გათამაშებაში თბილისის გუნდი ქ. ხუსტში ასპარეზობდა. ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ხარკოველები ანგარიშით 2:0, ფრედ — 0:0 დაამთავრეს შეხვედრა ტაშკენტელებთან და დამარცხდნენ დნეპროპეტროვსკელ თანატოლებთან — 1:5. თბილისის გუნდი ფინალის მიღმა დარჩა. გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა ხარკოვის გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ნორჩი მოსკოველი ფეხბურთელები, ხოლო მესამეზე — ვოლგოგრადელები.

„არარატი“ — ტოგოში

ერევნის „არარატი“ ამას წინათ სტუმრად იმყოფებოდა აფრიკის სახელმწიფო ტოგოში. ერევნელმა ფეხბურთელებმა რესპუბლიკის დედაქალაქ ლომეში დაამარცხეს ტოგოს თასის მფლობელი „ასკო“ — 3:1, შემდეგ „სამუსი“ — 2:1 და ქალაქ მანოში მოუგეს ტოგოს ჩემპიონს „დუმბეს“ — 2:1.

ამ ტურნეს დროს „არარატის“ მწვრთნელებმა სემინარი მოაწყვეს ადგილობრივ ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან, ჩაატარეს პრაქტიკული ვარჯიშები და ერთობლივი წვრთნა ადგილობრივ გუნდებთან. რესპუბლიკის ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის საქმეთა მინისტრმა კომლა დომეტო გნემენიანმა აღნიშნა, რომ „არარატის“ ვიზიტი ხელს უწყობს ტოგოსა და სსრ კავშირის მეგობრულ ურთიერთობათა განმტკიცებას.

ს.ჟ. საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი I ჯგუფის გუნდებს შორის—„მერცხალი“ (მახარაძე)—„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 7:1.

ჭამი ფიქრისა, ჭამი განსჯისა

4 ჩვენი საერთო საფეხბურთო საზრუნავი

ქართული ფეხბურთის ახლანდელი არასახარბიელო მდგომარეობა ყველამ კარგად იცის, იგი დიდად აღგლვებს ყველა გულშემატკივარს და სპორტის მოყვარულს.

სავსებით ვეთანხმები იმ სპეციალისტებს და გულშემატკივრებს, რომლებიც სხვა მიზეზებთან ერთად ჩვენი ფეხბურთის ჩამორჩენას აბრალებენ ზოგიერთი სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის მუშაობის დაბალ დონეს, ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებისა და მწვრთნელების არასათანადო კვალიფიკაციას და ავტორიტეტს, მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევის უპრინციპობას, პროტექციონიზმს, შემდგომში კი — სწავლების არასწორ მეთოდებს.

შეიძლება ჩემს მოსაზრებებში ბევრი რამ სადავო იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ რესპუბლიკაში არსებული მრავალი სპეციალიზებული სკოლიდან მოზრდილთა გუნდებში ერთობ მცირე და უხარისხო შევსება მოდის. თბილისის ყოფილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში 6 წლის მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება უფლებას მაძლევს ჩემი აზრი გამოვთქვა ნორჩ ფეხბურთელთა მომზადების საკითხებზე და მათი პირველდაწყებითი აღზრდის პრობლემებზე.

მწვრთნელ-მასწავლებელთა შერჩევა. ბავშვის ბუნება ისეთია, რომ იგი ბაძავს უფროსებს, განსაკუთრებით კი ცნობილ ფეხბურთელებს. ძველ 35-ე საფეხბურთო სკოლაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელები გაბოს ჯეჯელავა, არჩილ კოკნაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, მიხეილ მინაევი, სპარტაკ ჯეჯელავა, ვახტანგ რამიშვილი, ანდრო ზაზროევი, ნიაზი ძიაშიპა და სხვები, მოსწავლეები ცდილობდნენ მათთვის მიებაძათ მრავალფეროვანი საფეხბურთო ილეთების დაუფლებაში, წარსულის ეს გამოჩენილი ოსტატები კი მათ თვალნათლივ, მინდორზე აჩვენებდნენ რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ ისე, რომ რთული საფეხბურთო ელემენტების ათვისებაში შეცდომები არ დაეშვათ. ამიტომაც, რასაკვირველია, ჯობია ბავშვებს მწვრთნელებად ისეთი აღზრდილები ჰყავდეთ, რომლებიც საფეხბურთო ოსტატობას მაღალკვალიფიციურად ასწავლიან, პრაქტიკულად აჩვენებენ ყველაფერს, რაც კი მათ თამაშში გამოადგებათ, ამასთან სწორი პედაგოგიური მიდგომით ხელს შეუწყობენ ძნელი ილეთების სწორად ათვისებას. ეფექტი ასეთ შემთხვევაში გაცილებით უკეთესია, ვიდრე თეორიული ახსნა-განმარტების მეთოდით. ჩემი აზრით, თუ ბავშვი დარწმუნდა, რომ მწვრთნელს თვითონ არ შეუძლია პრაქტიკულად შეასრულოს რომელიმე ილეთი, მას რწმენა ეკარგება. თვალსაჩინოების მეთოდი ასეთ შემთხვევებში უდავოა.

კონტინგენტის შერჩევა. სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტსკოლის კონტინგენტის შერჩევისას გამომცდელ კომისიას მხოლოდ ერთი მიზანი უნდა ამოძრავებდეს — საუკეთესოთა შერჩევა. სკოლებში მხოლოდ ისეთი ბავშვები უნდა მოხვდნენ, რომლებიც თავიანთი სპორტული მონაცემებით პერსპექტიულნი არიან, ამასთან იმის გარანტიაც უნდა იყოს, რომ სასწავლო პროგრამის ათვისებას ჭაბუკი ფეხბურთელი სრული მონდომებით შეეცდება. ნათესაური გრძნობები, მეზობლობა, ძმაბიჭობა და სხვა მსგავსი ფაქტორები არავითარ შემთხვევაში არ უნდა წყვეტდეს ბავშვთა შერჩევის საკითხს. ყველაფერი ეს იმ გარემოებამ მაიძულებინა, რომ წლეულს მაის-ივნისში თბილისში მოეწყო ფეხბურთის სპეცსკოლების მოსწავლეთა გამოცდა, ამ სახელმწიფო მიღების დროს მოხწავლეებს კომისიისთვის ის ილეთები უნდა ეჩვენებინათ, რომლებიც ამ სკოლების ყოველდღიური სწავლების პროგრამაში შედის, მაგრამ საგამოცდოდ გამოსული ბავშვების 60-ზე მეტმა პროცენტმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა. ცხადია, მოსწავლეთა უმეტესობა სკოლაში ისე მიიღეს, რომ მათ არასათანადო სპორტული მონაცემები ჰქონდათ. გამონაკლის შემთხვევაში ბავშვმა შესაძლოა ვერ გაამართლოს იმედები, მაგრამ სკოლებში მიღებისას გამოცდილი თვალი იმთავითვე შეამჩნევს აქვს თუ არა ნორჩ ფეხბურთელს შესაფერისი მონაცემები.

სასწავლო ინვენტარი და სავარჯიშო მინდორი. საკითხავია: რა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლაა ის, რომელსაც არ გააჩნია სავარჯიშო მოედანი და სათამაშო მინდორი, არა აქვს საჭირო ინვენტარი, მოწყობილობა, გადასატანი კარი, სავარჯიშო კედელი, სამიზნეები, დგარები ჩამოკიდებული ბურთებისთვის და სხვა. ქართული ფეხბურთის დღევანდელ დონეზე და ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდის საჭიროებაზე ბევრს ვლაპარაკობთ, ვწუხვართ, ვსაყვედურობთ, მაგრამ შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად პრაქტიკულად ბევრს არაფერს ვაკეთებთ. თანხები არ უნდა დავიშუროთ საიმისოდ, რომ ბავშვებს შევუქმნათ ნორმალური ვარჯიშისა და თამაშის საშუალება, შევიძინოთ მათთვის ინვენტარი, სპორტული ფორმა, ბურთები. ეს ის ხარჯებია, რომლებიც სრულად ანაზღაურდება მაშინ, როცა სკოლებიდან კარგად მომზადებულ, მაღალი კლასის ჭაბუკ ფეხბურთელებს მივიღებთ.

მართალია, საქართველოში ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი არ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ძალზე ჭირს მეცადინეობა ღია ცის ქვეშ, ამიტომაც, სპორტსკოლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სავარჯიშო დარბაზები. ამგვარი ზამთრის სპორტდარბაზები და მანეჟები ნორჩი ფეხბურთელებისთვის აუცილებლად საჭიროა უამინდობისას, საჭიროა მათი ტექნიკური მომზადების დასახვეწად.

სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტება და სწავლების მეთოდები. დავინტერესდი და დავესწარი რამდენიმე სპეცსკოლის ჯგუფების მეცადინეობას. მაშინვე თვალში მომხვდა ის, რომ თითოეულ მწვრთნელს სასწავლო ჯგუფში 20-22 მოსწავლე ჰყავდა. ეს ძალზე ბევრია, ერთდროულად 20 ბავშვთან მეცადინეობა, რა თქმა უნდა, ძნელი საქმეა. ნორჩ ფეხბურთელს მომეტებულად ის სურს გააკეთოს, რაც უფრო კარგად ეხერხება, მწვრთნელის მოვალეობა კი ისაა, რომ თავის გაკვეთილებში უხვად შეიტანოს ახალი ილეთები, იზრუნოს მათი ათვისებისთვის. როცა ბავშვს დავალებას ვაძლევთ, უურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი თუ როგორ მუშაობს იგი ამ ილეთის ასათვისებლად, როგორ მონდომებას იჩენს. მაგრამ, როცა ჯგუფში 20 და მეტი ბავშვია, ძალზე ძნელია ერთდროულად ყველას მიატანო თვალი და ხარვეზებიც შეამჩნიო, ბავშვიც, ამას რომ ხედავს, მაშინვე იწყებს მარტო თავისი საყვარელი ილეთის შესრულებას. მეცადინეობამ რომ ნაყოფი გამოიღოს, მწვრთნელს საშუალება უნდა ჰქონდეს მეტი კონტროლი გაუწიოს მოვარჯიშეებს. ჩემი აზრით, ჯობია მწვრთნელს ჯგუფში 8-10 ბავშვი ჰყავდეს.

ახლა, თქვი, რაკი ასეთია შენ-არსის რესპონდენტი, ბატონო, ბავშვებიც რომ ისე ვავარჯიშოთ, როგორც მოზრდილი ოსტატები, სწორი არ იქნება, ხშირად კი ასე ხდება: 5-7-წუთიანი მოთელვის შემდეგ მწვრთნელმა 15 წუთი დუთმო ილეთების შესწავლას (ბურთის გაჩერება, თავით თამაში, ზუსტი გადაცემები და სხვ.), შემდეგ ჯგუფი ორად გაჰყო, ბურთი გადაუგდო და დაუწყებინა ორმხრივი თამაში. ბავშვები ამ დროს თავიანთ ნებაზე არიან მიშვებული და აკეთებენ იმას, რაც მოეპრიანებათ. ორმხრივი თამაშები, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ მწვრთნელი წუთითაც არ უნდა მოსცილდეს მომეცადინეებს და სასწავლო პროცესი გართობად არ აქციოს.

მახსოვს, 35-ე სკოლაში სულ 200 ბავშვი გვყავდა, თითოეული მწვრთნელი 8-10 მოსწავლეს ავარჯიშებდა. გაკვეთილებს ვატარებდით წინასწარ შედგენილი კონსპექტიკის მიხედვით, კონსპექტებს ამტკიცებდნენ მწვრთნელთა საბჭოზე, მეცადინეობის პროგრამაში ყოველთვის გვქონდა ერთი ან ორი რთული ილეთის ათვისება, საერთო ფიზმომზადებას კი ცალკე სპეციალისტი შ. მერკვილაძე ხელმძღვანელობდა. მწვრთნელები თავს ადგნენ ბავშვებს და ყოველნაირად ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად სრულყოფილად ათვისებინათ ეს ილეთები. სწორედ იმ დროს აღიზარდნენ 35-ე სკოლაში გამოჩენილი ფეხბურთელები შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, ზაურ კალოევი, ავთანდილ ჭკუასელი, სერგო და ალიოშა კოტრიკაძეები, სულიკო თორაძე, ლევან ჟორდანია, დავით ხუნდაძე, ავთანდილ ხელაძე, შოთა კიტია, არჩილ კილაძე და მრავალი სხვა, რომლებიც წლების მანძილზე გამოდიოდნენ ოსტატთა გუნდებში.

რასაკვირველია, სპეცსკოლებში აღზრდილი ყველა ფეხბურთელი ვერ მოხვდება უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებში, ამიტომაც მათი სპორტული დაოსტატებისთვის საჭიროა საშუალედო სკოლა-სასწავლებელი, ისეთი, როგორიც ოდესღაც იყო თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა. ამ ტიპის სკოლა ახლაც გვაქვს, მას გამოცდილი, ენერგიული სპეციალისტი ვლადიმერ ელოშვილი ხელმძღვანელობს, მაგრამ სკოლას უმარტივესი, ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნია ჭაბუკთა დაოსტატებისთვის, ამიტომაც პერსპექტიულთა ნაკადი ამ სკოლიდან ასე შემცირდა.

სპეციალიზებული სკოლების დამთავრების შემდეგ ბევრი ჭაბუკი ფეხბურთელი უმაღლეს ხასწავლებლებში ეწყობა, აქ, მცირე გამონაკლისის გარდა, ფეხბურთი დაინერგილი არაა, ამიტომაც ახალგაზრდა ფეხბურთელი ხშირ შემთხვევაში საერთოდ თავს ანებებს თამაშს.

ბავშვთა სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებს ყველა პირობა უნდა შეუქმნათ, რათა ისინი მაღალი კლასის ოსტატთა ნამდვილ სამეფოდ იქცნენ. უამისოდ ჩვენს ფეხბურთს, ჩვენს ოსტატთა გუნდებს არ ეყოლებათ პერსპექტიული შემცვლელი მოთამაშეები.

ოტია ჟორდანია,
საკავშირო კატეგორიის სპატიო მსაჯი ფეხბურთში.

ფეხბურთი

შოუ წილისყრის დროს

საერთაშორისო საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით მოელიან 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წილისყრას, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართება ციურიხში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს წილისყრა საქმიანი პროცედურის გარდა სამხიარულო შოუდაც აქციოს. ჯერ ერთი, წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები ბრაზილიელი პელე და ფრანგი მიშელ პლატინი, გარდა ამისა, „ლა სკალადან“ მიიწვევენ გამოჩენილ იტალიელ მომღერალს ლუჩანო პავაროტის და ბალეტის ჯგუფს. და, საერთოდ, ფიფა-ს ამ ზეიმზე განზრახული აქვს 3 ათასი სტუმარი მიიწვიოს. წილისყრის ცერემონიალი 24 ქვეყანაში გადაიცემა ტელევიზიით.

როგორც ცნობილია, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში იტალიის სტადიონებზე 24 უძლიერესი გუნდი გამოვა, წილისყრაში კი მონაწილეობას მიიღებს 113 ქვეყანა.

ისევ საპყრობილეში

ინგლისის ქალაქ ლივერპულის 22 წლის მკვიდრი რონალდ ობრინი ხელმეორედ აღმოჩნდა საპყობილეში. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იგი თავის ქალაქში დაუპატიმრეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ხულიგნობის გამო. ასე აღნიშნა ამ ვაი-გულშემატკივარმა თავისი დაბრუნება ბელგიიდან, სადაც იგი საპყრობილეში იჯდა, როგორც 1985 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში მომხდარი სისხლისმღვრელი დებოშის ერთ-ერთი მოთავე. ინგლისის „ლივერპულისა“ და იტალიის „იუვენტუსის“ ამ მატჩში ინგლისელი ხულიგანი მაყურებლები თავს დაესხნენ იტალიელებს, რის შედეგადაც დაიღუპა 39 კაცი.

რ. ობრინთან ერთად ბელგიის ქალაქ ლოვენის ციხეში დაპატიმრებული იყო „ლივერპულის“ კიდევ 25 გულშემატკივარი. მათგან სამნი, მათ შორის ობრინიც, გაათავისუფლეს, ვინაიდან ბრალდების საფუძველი არ აღმოჩნდა, მაგრამ, როგორც ჩვენ ვიცით, რ. ობრინის საპყრობილეებიდან განთავისუფლება ნაადრევი გამოდგა. ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი ახლა ემზადება ინგლისის კლუბების საკონტინენტო ტურნირებში აღსადგენად და აქ ბევრი რამაა დამოკიდებული ინგლისელ გულშემატკივართა საქციელზე. ობრინის დანაშაული ჯერჯერობით არ იძლევა დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს.

1 იანვრიდან

ცნობილი უნგრელი სპეციალისტი, 39 წლის ლასლო ბალინტი 1 იანვრიდან სათავეში ჩაუდგება ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს. იმის გამო, რომ უნგრელთა გუნდს ბოლო წლებში სერიოზული ჩავარდნები ჰქონდა, მისი ხელმძღვანელობა რამდენჯერმე შეიცვალა. ახლა უნგრეთის ნაკრებს დროებით წვრთნიან იოჟეფ გარამი და ფერენც კოვაჩი.

ესეც სიურპრიზი!

გფრ-ის საფეხბურთო თასის გათამაშების მეორე წრეში მოულოდნელი რამ მოხდა: ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, ბუნდესლიგის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „კიოლნი“ დამარცხდა (0:1) მესამე ლიგის „ვიქტორიასთან“ (აშაფენბურგი) და ბრძოლას გამოეთიშა.

გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩი

მიმომხილველები დაობენ

კასპაროვ-კარპოვის მატჩის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი რჩება. საჰადრაკო მიმომხილველების აზრი მისი მსვლელობის შესახებ ხშირად წინააღმდეგობრივი და ერთმანეთის გამომრიცხავია, თუმცა ეს გასაგებიც არის.

დიდოსტატი რაიმონდ კინი ლონდონის „ტაიმსში“ გამოთქვამს აზრს, რომ კასპაროვი, მთლიანობაში თუ განვიხილავთ, ამ მატჩში ურიგოდ არ მოქმედებს, თუმცა კრიტიკოსები არ აკლია. „იგი ორჯერ ჩამორჩებოდა ანგარიშში, მაგრამ ორივეჯერ სრულიად იოლად აღადგინა წონასწორობა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჩემპიონს სავსებით აძლევს ხელს მატჩის საბოლოო საყაიმო ანგარიში. ამასთან, VII და IX პარტიებში კასპაროვი ძნელ პოზიციებში აღმოჩნდა, მაგრამ მათი დაცვისას გასაოცარი სიმტკიცე და გონებამახვილობა გვიჩვენა. პრობლემებზე თუ ვილაპარაკებთ, ამ მხრივ გაცილებით უფრო მეტი თაგსატეხი კარპოვს აქვს“.

ცნობილი იუგოსლავიელი ჟურნალისტი და ფიდე-ს ოსტატი დიმიტრიე ბელიცა, რომელიც შარშან ლონდონსა და ლენინგრადში კარპოვის პრეს-ატაშე იყო, ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტიში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში გამოთქვამს აზრს, რომ ესოდენ დაძაბული მატჩი ამ მეტოქეთა შორის ჯერ კიდევ არ გამართულა. ბელიცა ფიქრობს, რომ დაძაბულობა ბოლომდე გასტანს და მატჩის ბედსაც სულ უკანასკნელი, 24-ე პარტია გადაწყვეტს.

ოსტატი ჯონ ტისდლი (ინგლისი) სევილიაში იმყოფება, როგორც რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი. მისი აზრით, მატჩი დაახლოებით ისე მიმდინარეობს, როგორც მოსალოდნელი იყო, თუმცა ზოგ შემთხვევაში სიურპრიზებსაც წავაწყდით. „ისევე, როგორც ორი დიდი „კ“-ს ყველა ადრინდელ მატჩში, პირველის გამოკლებით, მეტოქეები ტოლს არ უდებენ ერთმანეთს, ქულათა მნიშვნელოვანი სხვაობა ვერავინ შექმნა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ეს უძლიერესი დიდოსტატები დაახლოებით ერთნაირად თამაშობენ. თუმცა სპეციალისტების დიდი უმრავლესობა მოელოდა, რომ წინა ორ მატჩთან განსხვავებით, მსოფლიო ჩემპიონს მეტი უპირატესობა ექნებოდა. ეს აზრი ჯერჯერობით არ მართლდება. პირიქით, კასპაროვი ორჯერ აგებდა ამ მატჩს და მხოლოდ ერთხელ იყო წინ“.

ოსტატი გარსია მადრიდის გაზეთ „პაისში“ ცდილობს კასპაროვის შეფერხებების ახსნას. იგი ამბობს, რომ ჩემპიონმა მატჩის წინა პერიოდში დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა იკისრა როგორც დიდოსტატების ასოციაციის შემქმნელმა და პრეზიდენტმა, საჰადრაკო კომპიუტერების პროპაგანდისტმა, სხვადასხვა წიგნების ავტორმა და ა. შ. გარსია მიიჩნევს, რომ კასპაროვი ყველა ამ საქმეში წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ კარპოვთან ამ მორიგ, მეოთხე მატჩს გამარჯვებით დააგვირგვინებს. ეს მის პასუხისმგებლობას ზრდის და ნერვულ ატმოსფეროს კიდევ უფრო ამძაფრებს.

განთქმული დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი მატჩის მსვლელობას კოპენჰაგენის გაზეთ „ექსტრაბლადეტის“ მკითხველებისთვის აშუქებს. მას მიაჩნია, რომ ამჯერად ძალიან მძაფრად დგას შავებით თამაშის პრობლემა, სადაც ორივე მეტოქე სერიოზულ სიძნელეებს აწყდება. აი, რას წერს ლარსენი: „თუმცა კასპაროვი ამ პრობლემას დიდი გაჭირვებით წყვეტს, მაგრამ მაინც უფრო უკეთ უვლის მას, ვიდრე კარპოვი“. აქ ცხადია, ლაპარაკია დებიუტით მიღებულ პოზიციებზე და არა შავი ფერით ნათამაშევი პარტიების შედეგებზე. ლარსენს ეთანხმება დასავლეთგერმანელი დიდოსტატი ვოლფგანგ უნიკერი, რომლის მიმოხილვებსაც გაზეთ „ზიუდდოიჩე ციტუნგი“ აქვეყნებს.

საყურადღებო აზრი გამოთქვა დიდოსტატმა ლარი ევანსმა, რომლის სტატიები „ნიუ-იორკ პოსტში“ იბეჭდება. იგი მოულოდნელობად მიიჩნევს მეტოქეთა სადებიუტო რეპერტუარის ამჟამინდელ სივიწროვეს. „ის, ვინც მსოფლიო პირველობაზე მატჩის მონაწილეებს სადებიუტო რეკომენდაციებს აძლევს, ადვილად შესაძლებელია სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. და მაინც, კასპაროვს ყოვლისმომცველ ერუდიციას თუ გავითვალისწინებთ ძნელი გასაგებია, რატომ იზღუდავს იგი თავს გრიუნფელდის დაცვით. ძალიან საწყენი იქნებოდა იმის დაჯერება, რომ პირველი სვლა თეთრებს ესოდენ თვალსაჩინო უპირატესობას აძლევს: თვით მსოფლიო ჩემპიონიც კი, როცა შავებით თამაშობს, უფრო უკეთესს ვერაფერს ნახულობს, ვიდრე ხელები დაიკაპიწოს და ყაიმისთვის უძნელესი ბრძოლა აწარმოოს“.

საერთაშორისო ოსტატი ჰანს ბიომი (ჰოლანდია), რომელიც ამსტერდამის „ჰეტ ფრაიე ფოლკ“-ის კომენტატორია, ევანსს არ ეთანხმება. იგი მიიჩნევს, რომ, როცა გრიუნფელდის დაცვას ირჩევს, კასპაროვს პრაგმატიზმი კი არ ამოქმედებს, არამედ თავმოყვარეობა და პრინციპულობა. „მსოფლიო ჩემპიონისთვის ამჟამად საჭიროა დამტკიცოს, რომ მის მიერ არჩეული გრიუნფელდის დაცვა საჭირო შედეგებს იძლევა. მას შემდეგ, როცა ამაში ყველა დარწმუნებულია, კასპაროვი სხვა დებიუტებს მიმართავს“.

დიდოსტატები აგრძელებენ კამათს, დაობენ მიმომხილველები, მატჩი კი დასასრულს უახლოვდება.

მეცხრამეტე პარტია

მეტოქეებმა ამჯერად კვლავ ლაზიერის გამბიტს მიმართეს. ეს დებიუტი არაერთხელ გათამაშებულა მათ წინა მატჩებშიც.

მე-14 სვლაზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა ახალი გაგრძელება აირჩია. 20-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა მეტოქეს პაიკი შესწირა და ინიციატივას დაეუფლა. მართალია, კარპოვს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ კასპაროვის პოზიცია უფრო პერსპექტიულად გამოიყურებოდა. ფიგურების გაცვლის შემდეგ დაფაზე წარმოიქმნა ოთხი ეტლის ენდშპილი, სადაც კარპოვს a ხაზზე ზედმეტი პაიკი ჰქონდა. მიუხედავად ამისა პოზიცია სრულიად თანაბარი იყო. პარტია გადაიდო. სპეციალისტების აზრით, მეტოქენი აღარ გააგრძელებდნენ ბრძოლას და თამაშის განუახლებლად დაზავდებოდნენ, მაგრამ დიდოსტატებმა პარტია მწვავე ბრძოლით გააგრძელეს. საბოლოოდ ეს შეხვედრა მაინც ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში კვლავ თანაბარია — 9,5:9,5.

ა. კარპოვი — გ. კასპაროვი
ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 e6 4. მc3 ჯe7 5. კg5 0—0 6. e3 h6 7. კh4 b6 8. ჯe2 კb7 9. კ:f6 კ:f6 10. cd ed 11. 0—0 მd7 12. b4 c5 13. bc bc 14. ლb3 cd 15. მ:d4 კ:d4 16. ed მb6 17. a4 ეb8 18. a5 მc4 19. კ:c4 dc 20. ლ:c4 ლd6 21. ლc5 ლ:c5 22. dc ეbc8 23. a6 კa8 24. მb5 ე:c5 25. მ:a7 ჯe4 26. f3 ეa8 27. fe ე:a7 28. ეa4 ეc6 29. ეfa1 მgf8 30. მgf2 მge7 31. მge3 მge6 32. ეa5 ეd6 33. ე1a2 ეc6 34. h4 ეd6 35. მgf4 ეb6 36. ე2a3 ეc6 37. ეe5+ მgf6 38. ეf5+ მge6 39. ეa5 ეb6 40. ეe5+ მgf6 41. ეea5 (ჩაწერილი სვლა) მge6 42. ეa1 ეc6 43. ეe5+ მgf6 44. ეf5+ მge6 45. ეe5+ მgf6 46. ეea5 მge6 47. ე1a2 ეb6 48. g4 f6 49. h5 ეc6 50. ეb2 ეc:a6 51. ეb6+ ე:b6 52. ე:a7 ეb1 53. ე:g7 ეf1+ 54. მge3 ეe1+ 55. მgf3 ეf1+ 56. მge2 ეf4 57. მge3 მge5 58. ეe7+ მgd6 59. ეh7 მge5 60. ეe7+ მgd6 61. ეe6+ მg:e6 62. მg:f4 მge7.

ყაიმი.

გადამწყვეტი ტურნირები

დაიწყო კალათბურთელ ქალთა ევროპის ტურნირების გადამწყვეტი მატჩები.

ნოვოსიბირსკი. ჩემპიონთა თასის ფინალურ ტურნირში ადგილობრივმა „დინამომ“ პრაღის „სპარტას“ უმასპინძლა. შეხვედრა მძაფრი ბრძოლით აღინიშნა, განსაკუთრებით პირველ ნახევარში. ანგარიში ოთხჯერ თანაბარი იყო, და მაინც ტაიმი „დინამომ“ 4 ქულით (45:41) მოიგო.

ნოვოსიბირსკელებმა ერთგვარ უპირატესობას შესვენების შემდეგ მიაღწიეს, განსაკუთრებით ელენა ხუდაშოვასა და ირინა ლევჩენკოს კარგი თამაშის წყალობით. „დინამომ“ გაიმარჯვა — 89:77. საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები სწორედ ლევჩენკო (22 ქულა) და ხუდაშოვა (19) იყვნენ. სვატოვა კისელკოვამ „სპარტას“ 22 ქულა შესძინა.

ლილიან რონკეტის თასის გათამაშებაში მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა, რომლებიც ასე დამთავრდა: „ისკრა“ (იუგოსლავია) — „დინამო“ (კიევი) 89:80, „ელექტროსილა“ (ლენინგრადი) — „ელემენსი“ (იუგოსლავია) 100:85, „სიდისი“ (იტალია) — ბშე (უნგრეთი) 97:93, „რესინგი“ (პარიზი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი) 76:56.

„სპორტპროგნოზი“

47-ე ტირაჟის შედეგები (21-23 ნოემბერი)

სპორტულ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 47-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 21-23 ნოემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 5.797.576 ვარიანტი. 13 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 12 შედეგის გამცნობისთვის (7) მოგებამ შეადგინა 10.000 მანეთი, 11 შედეგის გამცნობისთვის (141) — 5.671 მანეთი.

47-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 18 დეკემბრიდან 1988 წლის 18 იანვრამდე.

უმეჯლოდ არავინ დარჩა

მილანი. სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად აქ ჩატარდა იუნიორთა ამავე რანგის ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ათლეტებმა. მათ ათიდან ცხრა პირველი ადგილი დაიკავეს.

ოქროს მედლები შარშანდელ მსოფლიო ჩემპონატში გამარჯვებულმა ლებედევმა და რუზავინმა შეინარჩუნეს. ყველა დანარჩენი ჩემპიონი ახალია.

წონითი კატეგორიების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: ბაქოელი ჯეისუნ მაგომედოვი (48 კგ), პავლოდარელი მარატ ტემირბულატოვი (52 კგ), ნოვოკუზნეცკელები ევგენი საუშკინი (57) და ალექსანდრე მაზიტოვი (62 კგ), კსტოვოელი ალექსანდრე ლებედევი (68 კგ), ბარნაულელი ვიაჩესლავ ელისტრატოვი (82 კგ), ელცელი ევგენი გუზეევი (90 კგ), ორსკელი იგორ რუზავინი (100 კგ) და პეტროპავლოვსკელი ოლეგ კიბალკა (მძიმე).

ნიუ-იორკის ტრადიციული მარათონი ყველაზე ხალხმრავალი შეჯიბრებაა, რომელშიც ათასობით პროფესიონალი და მოყვარული მძლეოსანი ასპარეზობს. აი, თუნდაც წლევანდელი შეჯიბრება გაიხსენეთ, რომლის სტარტზე გრძელ მანძილებზე რბენის 22 ათასი მოყვარული გამოვიდა.

სურათებზე: (მარცხნივ)—ასე გამოიყურებოდა ქალაქის ერთ-ერთი ხიდი სტარტის შემდეგ, მარჯვნივ — მარათონულ რბენაში გამარჯვებული იბრაჰიმ ჰუსეინი (კენია), რომელმაც მანძილი 2:11.01-ში გაირბინა.

საკდენის ფოტო.

უცხოელ ვარსკვლავთა მატჩი

რომში გაიმართა კალათბურთელთა ტრადიციული სამატჩო შეხვედრა იტალიაში მოთამაშე უცხოელ ვარსკვლავთა შორის. უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე უცხოელი კალათბურთელებისგან დაკომპლექტდა პირველი გუნდი, ხოლო მეორე გუნდში მეორე დივიზიონში მოთამაშე უცხოელი კალათბურთელები გამოვიდნენ. ანგარიშით 157:154 გაიმარჯვა პირველმა გუნდმა.

ციხეზერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 5 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **19.35 (1).** წყალბურთელთა საკავშირო თასის ფინალური ტურნირი — **19.45 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „ყალგირისი“ (კაუნასი) — ვეფ (რიგა) — **21.20 (2).**

სპორტულ გაზეთებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 5 დეკემბერი. ასკ-ს სტადიონი. **„იმედი“-„დინამო“2 (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).** დასაწყისი 15 საათზე. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა).** 15 ს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



თბილისის სპორტის სასახლე

9-13 დეკემბერი

საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

მონაწილეობენ: გფრ-ის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ესპანეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს გუნდები.

დასაწყისი: 9 დეკემბერს 11 სთ; 10, 11 დეკემბერს 15 სთ; 12, 13 დეკემბერს 12 სთ.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ჰერკულესები თბილისში იკრიბებიან

თბილისში 5-6 დეკემბერს პირველად გაიმართება საქართველოს ღია ჩემპიონატი ათლეტურ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, სოღნაღის, თელავის, მოსკოვის, ირკუტსკის, ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის 60-მდე სპორტსმენი. ტურნირი მოეწყობა კიროვის სახელობის პარკში — კალათბურთის სასახლეში. საქართველოს კომკავშირის სახელობის კულტურის სასახლეში (პირველი მაისის ქუჩა) მაყურებელი ყოველ საღამოს ნახავს საჩვენებელ გამოსვლებს.

პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭო ატარებს უმაღლესი სასწავლებლების პირველ საქალაქო სპარტაკიადას მიძღვნილს ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი.

მონაწილეობენ: უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზიკური კულტურის, პედაგოგიური, სამედიცინო, უცხო ენების, სასოფლო-სამეურნეო, თეატრალური ინსტიტუტების, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის სტუდენტები, აგრეთვე აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების უცხოელი სტუდენტები.

სპარტაკიადის პროგრამაშია:

გადმინჯონი. 12-14 დეკემბერი. სამედიცინო ინსტიტუტის სპორტდარბაზი;

მინიფეხბურთი. 4-13 დეკემბერი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტდარბაზი;

ცურვა. 19-21 დეკემბერი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზი;

ტყვიის სროლა. 5-7 დეკემბერი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტირი;

მაგიდის ჩოგბურთი. 9-18 დეკემბერი. სამედიცინო ინსტიტუტის სპორტდარბაზი;

ჭადრაკი. 1-10 დეკემბერი. პროფსაბჭოს ჭადრაკის კლუბი (პლეხანოვის გამზ. 52/54).

შეჯიბრების დასაწყისი: ყოველდღე — 15 საათზე, კვირა დღეებში — 11 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

„ედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08117